N 03/687
22/09/2023

687-03-2-202309221119

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ერთიანი
ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს
ბატონ ელგუჯა ბაგრატიონს

ბატონო ელგუჯა,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილი, თქვენი, 18/07/2023წ. სადეპუტატო კითხვის პასუხად, დანართის სახით გეგზავნებათ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების მიერ 2013 წლიდან დღემდე (წლების მიხედვით), მივლინებაზე გაწეული და წარმომადგენლობითი ხარჯები, აქვე გაცნობებთ, რომ როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ისე მის სისტემაში შემავალი დაწესებულებების სამივლინებო ხარჯები ძირითადად გაწეულია შესაბამისი წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებისა და შემდგომში მათი მონიტორინგის მიზნით, ასევე დარგის საჭიროებების კვლევის, დონორებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ საგრანტო/საინვესტიციო სფეროში გამართულ შეხვედრებზე მონაწილეობის მისაღებად, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავების განხილვის საბჭოსა და სასამართლოში წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად, სამინისტროში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და შესაბამისი გამოცდილების გაზიარების მიზნით, შეხვედრებსა და ტრენინგებში მონაწილეობის მისაღებად და სხვა.

ამასთან, გაცნობებთ, რომ როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ისე სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების მიერ, ავტომანქანების მდგომარეობისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით ხორციელდება ავტოპარკის განახლება, ამორტიზებული ავტომობილების ახლით ჩანაცვლება, რაც ამცირებს ავტომანქანების მოვლა-შენახვისა და საწვავისათვის გასაწევ ხარჯებს.

დანართი: 6 ფურცელი.

პატივისცემით,

საქართველო, ქ.ბათუმი 6010
აკ. მ. კომახიძის ქ. N119
ტელ/ფაქსი: +995 (422) 24 78 41
ელ.ფოსტა: contact@moa.ge

N119. AC. M.KOMAKHIDZE STR.
6010 BATUMI, GEORGIA
TEL/FAX: +995 (422) 24 78 41
EMAIL: contact@moa.ge

ზაზა შავაძე

მინისტრი

https://edocument.ge/AdjaraGov/public687-03-2-202309221119

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE